

## ახალი ამბები

### ცესკო არჩევნების შედეგებს კენჭისყრიდან არაუგვიანეს მე-18 დღეს შეაჯამებს



თბილისი, 22.05.08. მედიანიუსი. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია პარლამენტის არჩევნების შედეგებს კენჭისყრიდან არაუგვიანეს მე-18 დღეს, ანუ 8 ივნისის ჩათვლით, შეაჯამებს.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, არჩევნების შედეგების საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისგან მიღებული ოქმების საფუძველზე შეაჯამებენ და შესაბამის ოქმში შეიტანენ. ოქმის ერთი ეგზემპლარი ცესკოში, ხოლო მეორე პარლამენტში შეინახება.

ცესკოს ბეჭდით დამოწმებული ასლები კი საარჩევნო სუბიექტების

წარმომადგენლებს გადაეცემა.

არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელ ოქმში მითითებული უნდა იყოს იმ საარჩევნო ოლქებისა და უბნების დასახელება და ნომრები, რომლებშიც არჩევნები ბათილად იქნა ცნობილი, ასევე, მათში არსებულ ამომრჩეველთა რაოდენობა, არჩევნების ბათილად ცნობის მიზეზები; ყოველ საარჩევნო ოქმში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა, არჩევნებში მონაწილე პირთა რაოდენობა, არჩეულ პარლამენტთა რაოდენობა და მათი ანბანურად დალაგებული სია.

არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 5 დღის ვადაში ცესკო პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით აქვეყნებს არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს.

რედაქტორი გიორგი ქიტიაშვილი